ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2702333

ნომერი: AR1419091

თარიღი : 04.07.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 12.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩაფიძე პ/ნ 18001022223
- ზესტაფონი,მეგობრობის5. ბინა 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 04

ივნისს №AR1419091 განაცხადით მომართა გიორგი ჩაფიძემ და ამავე სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გიორგი ჩაფიძის 2016 წლის 23 მაისის №AR1406900 განაცხადი და დადასტურდა ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ, შპს "ბ.ბ.ი"–ს საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის სახურავზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო მონიტორის მოწყობა. აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო არასწორადაა დაფიქსირებული ობიექტის მისამართი, საკადასტრო კოდი და მესაკუთრის სახელწოდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ჩაწერი: „”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882016004428 08/01/2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.01.022.185, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი; შპს ბ.ბ.ი.; შპს „ლაქი 2“ და შპს „ბო პი“ს თანხმობები; ხელშეკრულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, აბაშიძის ქუჩა #41–ში (ყოფ. ბარნოვის ქ. #137), შენობის ფასადზე, შ.პ.ს „პსპ–აფთიაქი“–ს მიერ კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.“ შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: „“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან № 882016254723, 26/04/2016 10:03:49. საკადასტრო კოდი №01.13.01.022.186, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი; შპს „ბ.ბ.ი.-ის“, შპს „ლაქი 2-ს“ და შპს „ბო პი-ს“ თანხმობები, ქვეიჯარის ხელშეკრულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ, შპს "ბ.ბ.ი"–ს საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის სახურავზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო მონიტორის მოწყობის შესაძლებლობას“. სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №2613697 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.